საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030156389643918

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/20488 **10 / აპრილი / 2018 წ.**

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე
ქალბატონ ასმათ კოხრეიძეს

მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ N6;

ქალბატონო ასმათ,

თქვენს წარმოებაში არსებულ N2/17531-16 საქმესთან დაკავშირებით, რომელიც ეხება სამინისტროსა და სსიპ "სოციალური მომსახურების სააგენტოს" ვებ-გვერდებზე შშმ პირებისათვის (მხედველობის არმქონე/ მცირემხედველი) ხელმისაწვდომობის საკითხს (მოსარჩელეები არიან შშმ პირები (მხედველობის არმქონე/ მცირემხედველი), გაცნობებთ, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი www.moh.gov.ge ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებს და მხედველობის არმქონე და მცირემხედველთათვის არის ადაპტირებული. აღნიშნული მონაცემებით ვებ-გვერდი შეესაბამება ISO/ICE 40500 სტანდარტს, WCAG2,0/AA საშუალო დონეს.

ამასთან, მიმდინარეობს ინფორმაციის ISO – 14289-1 საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით დამუშავების დანერგვის ღონისძიებები, რაც უფრო მეტად სრულყოფს ატვირთული/ასატვირთი ფაილების დამუშავების პროცესს.

რაც შეეხება ssa.gov.ge საიტს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო არ ახორციელებს მის სისტემურ და ინფორმაციულ ადმინისტრირებას, არამედ ახორციელებს მხოლოდ მისი შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურული რესურსებით უზრუნველყოფას.

ამასთან, თქვენი დავალების შესაბამისად, დანართის სახით წარმოგიდგენთ "საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის უფლებამოსილებისა და ფუნქციების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 28 თებერვლის № 01-59/ო ბრძანებას.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე თამილა ბარკალაია